ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო გაზეთი

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 325. კვირა, 12 ივნისი 1911 წ. დამატების № 57



ბესარიონ ბელინსკი.
რუსეთის დიდებული კრიტიკოსი გარდაცვალებიდან 100 წლის შესრულების გამო.

# მეგობრობა

(დრამა 4 მოქმედებად)

(შემდეგი *)

**თამარ.** თქვენ... ვინა ბძანდებით?

**ელიკო.** (გაკვირვებული ათვალიერებს). ელიკო ლომაური!

**თამარ.** ელიკო!..

**ელიკო.** დიახ!..

**თამარ.** მამასთან იქნებით ჩამოსული... სათხოვარი გექნებათ რამ...

**ელიკო.** (ამაყად). მამა დიდი ხანია აღარა მყავს და არც სათხოვარი მაქვს ვისთანმე რამ!.. ამ ჩვენმა ნათესავმა მოისურვა ჩემი ნახვა და მეც შემოვედი!..

(შემოდის არჩილ).

**არჩილ.** თამარ!.. (საჩქაროდ მივა მასთან, განზე გაიწვევს და ჩუმად). გთხოვ ხუთი წუთით გაისეირნო!.. (თამარ მიდის. თან ელიკოს უყურებს. გადის).

**არჩილ.** აი შენი ნასახიც!..

**ელიკო.** (შინჯავს). დედასაცა აქვს ამისთანა!.. ეს ქალი ვინ იყო?.. ასე მგონია მინახავს სადღაც...

**არჩილ.** ... ეგ... ჩემი ნათესავია...

**ელიკო.** ამ წიგნს მამი-ჩემას სახელი აწერია...

**არჩილ.** ჰო... იმისეული...

*) იხ. სურათებიანი დამატება № 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ელიკო.** (ხელს დაუჭერს და ხვეწნით). არ შეიძლება... (პაუზა).

**არჩილ.** შენ მოგცე?

**ელიკო.** თუ თქვენთვის...

**არჩილ.** დიდი სიამოვნებით... დიდი სიამოვნებით... (აძლევს). დედას-კი ასე უთხარ, რომ კოტემ გაჩუქა!..

**ელიკო.** (წიგნს გულში ჩაიკრავს). ბატონი ხართ... მშვიდობით!..

**არჩილ.** მშვიდობით, ჩემო ძვირფასო!.. (მოეხვევა). ეგ წიგნი უფრო ხშირად მოგაგონებს მამას... შენ იმას მეტად უყვარდი!.. (ჰკოცნის. ელიკო გადის. არჩილი კარგა ხანს კარებში დგას და უყურებს მიმავალს). მშვიდობით, ჩემო ანგელოზო!.. იქნება იმისთვის მოფრინდი, რომ დაგეტკბო მამიშენის უკანასკნელი დღენი!.. შენა და ეს წერილი იქნება ცხოვრების ორი ჭეშმარიტება იყოთ!.. მშვიდობით (წინ წამოვა). ნუ თუ ბოლომდის წავიკითხავ ამ საძაგელ შურის-ძიებას!.. მხდალი არსება ილვიძებს ჩემში... სინამდვილისა მეშინიან... დაგესჯი, ლაჩარო!.. (კითხულობს). „ვერ მიმხვდარხართ... თქვენმა საყვარელმა ისარგებლა მუქთი ბილეთით და პეტერბურგისკენ გაისეირნა... თქვენ რასაკვირველია გაგეხარდათ მისი სიამოვნება, მით უფრო, რომ დამშვიდებული იყავით, რადგანაც უბადრუკიძესაც მაშინ გამოუჩნდა საქმე პეტერბურგში და თან ახლდა, ვითარცა მეგობარი და მოსარჩლე!.. ბრმავ!.. თქვენი საყვარლის მიუდგომელი ციხე-დარბაზი ოქროთი დატვირთულმა ვირმა აიღო!.. გამარჯვების ნიშანიც შეგიძლიათ იხილოთ თქვენი საყვარლის მარცხენა მკერდზე: იქ ოთხი კბილის ნაჭდევია ლამაზი ხალის გარშემო!..“ (გამშრალი ჩაფიქრდება. მწარე ღიმილი უთრთის ტუჩებზე). რას ჩაფიქრდით, ბატონო არჩილ!.. თამარს ნდობა დაეკარგა?! ხა-ხა-ხა!..

(შემოდის თამარ).

**თამარ.** (ნაწყენია). ეს რას ნიშნავს, არჩილ!.. თუ ელიკოს ნახვა შენთვის აუცილებელი იყო, მე რაღად მიმალავდი?!..

**არჩილ.** (მიუახლოვდება და თვალებში ჩააცქერდება). შენ-კი არაფერი გაქვს ჩემგან დაფარული?!..

**თამარ.** (არეული). მე?!..

**არჩილ.** ჰო, შენ!.. ხედავ, აირიე!.. (უცებ მხიარულად). მაშასადამე—ქვით!.. ჩვენ ერთმანეთ გაუსწორდით და დავივიწყოთ!.. (უდარდელად) ის-კი არა, თამრიკო, და მართო დღეს ჩავუკვირდი, რანაირად შეიცვალა ჩვენი ცხოვრება!.. მხოლოდ ოთხ თუმანს ილებ თვეში, ჩვენ კი ისე გამოვკვეთდით, ასე გონია, ათ თუმანს იღებდე!.. გარეშე პირთ იქნება ერთი მდიდარი ვისიმე ცოლი ჰგონიხარ!.. ერთი შეხედეთ, რა ნაირად არის მორთული!.. თითო კაბა ოთხი-ხუთი თუმანი!.. შნო გაქვს, ჩემო კოპწიავ, შნო!..

**თამარ.** მაგ შნოსი მე ცოტათი მცხვენიან... ჩემს ჯამაგირს სულ ზედ ვიცხებ და ოჯახს-კი არ ვეწევი!..

**არჩილ.** ხა-ხა ხა!.. ის-ღა მაკლია, რომ წალებიც შემიკერინო!.. შენ ისიამოვნე, ჩემო თამრიკო, შენ!.. ჩემთვის ესეც დიდი ნუგეშია!.. (ჩუმად, ვითომ ხუმრობით). უფრო გულ-დადინჯებითაც ვიქნები: კეკლუცობას ჩვეული ქალი დიდხანს ვერ გაუძლებს ღარიბ სიყვარულს და, შეიძლება, ქმარსაც უღალატოს, თუ მდიდარი სამკაულს და სიამოვნებას გაუწევდის!..

**თამარ.** საძაგელო!..

**არჩილ.** (ალერსით). მაგრამ შენ სულ სხვა გოგონა ჩყევხარ!.. შენს საყვარელ სილარიბეს არაფერზე არ გასცვლი!.. არა, თამრიკო?!.. ხე-ხე...

**თამარ.** რას ლაპარაკობ, არჩილ!..

**არჩილ.** ეხლა ხომ რაღა მიჭირს!.. ეს კაბები, ეს თეატრი, ეს პეტერბურგი!.. (დიდი ინტერესით). კარგი დრო გაატარე პეტერბურგში?..

**თამარ.** კარგი!..

**არჩილ.** (ბავშვური ინტერესით). როგორმე ფული მოვაგროვოთ და ეხლა მე და შენ გავქუსლოთ!.. მუდმივ შრომაში ხავსი მომეკიდა!..

**თამარ.** (წრფელად). ოხ, რომ შეიძლებოდეს!..

**არჩილ.** შენ ეხლა გამოცდილიცა ხარ და მიჩვენებ პეტერბურგის ყველა სიამეს!..

**თამარ.** ოცნებაა, არჩილ, ოცნება!.. მეტადრე ღამე!.. პეტერბურგში სიცოცხლე ღამ-ღამეობით იწყობა... მთელი დღე ფუსფუსი, სირბილი, შრომა, ასე გონია ყველა ცდილობს სახსარი მოიკრიბოს ღამის სიამოვნებისთვის!.. ღამე-კი თვით ცხოვრება იწყობა!.. (ოცნებით). მისრიალებ ელიქტრონით გაჩაღებულ ქუჩებში... საოცარი თვისება აქვს ელექტრონს: ისეა გაკაშკაშებული იქაურობა, როგორც მზის გულზე, მაგრამ მთელ არე-მარეს—ქუჩებს, სახლებს, ეტლებს, ხალხს ასე გონია რაღაც თხელი-თხელი საიდუმლოების მანდილი აქვს გადაფარებულიო!.. ასე გონია, მშვენიერ პანორამაში იცქირება და არა თვით ცხოვრებაშიო!.. (პაუზა). აი საუკეთესო იპერაც!.. აქაც ელექტრონი და ხალხი,—უთვალავი, დართული ხალხი!.. სიტყვით აუწერელი სიმდიდრე და მშვენება!.. მერე ეს მუსიკა,—მომხიბლავი, მომაჯადოვებელი მუსიკა, მიმაძინებელი მუსიკა!.. ადამიანს ეკარგება რეალური ცხოვრების მკაფიო გრძნობა, ნირვანას მიმაძინებელი ნეტარება ეფინება თვალებს!..

**არჩილ.** (მისივე კილოთი). მერე მშვენიერი რესტორანი... ცალკე კაბინეტი და... ორნი!..

**თამარ.** (ნაკბენივით). ორნი?!..

**არჩილ.** ჰო,—მე და შენ!.. ხე-ხე...

**თამარ.** ჰოო... მე და შენ!..

**არჩილ.** ხე-ხე... მაშ რა გეგონა!.. (საიდუმლოდ, ასე გონია ეპარება). როცა მე და შენ პეტერბურგში ვიქნებით, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც იდუმალი საყვარლები: მაგისთანა ნირვანას კანონიერი სიყვარული არ შეჰშვენის!.. ცალკე კაბინეტი, მშვენიერი ვახშამი და შამპანიური,—შამპანიური აუცილებლად: ორიოდე ჭიქა და მოდუნებული სხეული ილტვის ნეტარების მორევში შესცურდეს... სუნთქვა გიმძიმს... თვალები ილულება და ოდნივ გახსნილი, ვნების ღელვით მონამული, ტუჩები საკოცნელად ილიმებიან... (მოეხვევა და ჩუმად). წავიდეთ, წავიდეთ!..

**თამარ.** (როგორც არჩილი). წავიდეთ, წავიდეთ!..

**არჩილ.** (ისევე). სიფრთხილე-კი მართებს ქალს მაგისთანა მდგომარეობაში: ვნებით ატაცებულ კაცს შეუძლიან დაასახიჩროს... დაახრჩოს საყვარელი!..

**თამარ.** მაგისი ქალებს არ გვეშინიან!..

**არჩილ.** მართალია, მაგრამ, წარმოიდგინე... ქალს ისეთი რამ... მშვენიერი... დამათრობელი აქვს... აი თუნდ (სულ ჩუმად) შენი ხალი მარცხენა ძუძუზე...

**თამარ.** (აჩქარებით). ხალი?!..

**არჩილ.** ჰო, ხალი! . წარმოიდგინე ატაცებულმა კაცმა... სამუდამოდ დაგაჩნია მაგ ხალზე ოთხი კბილი!.. (თამარ შეშფოთებული და გაოცებული შეჰყურებს. არჩილ კილოს იცვლის, მკაცრად). რა გაოცებული მიყურებ?!.. განა არ შეიძლება?!.. აბა მიჩვენე შენი მკერდი!..

**თამარ.** რას ამბობ, არჩილ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალბანეთის აჯანყების გამო.
ბაცი, მალესიის ეხლანდელ აჯანყების მეთაური.

**არჩილ.** (მიიწევს მკერდის გადასადებად). მიჩვენე მეთქი!..
**თამარ.** (შეშინებული მკერდზე ხელს იფარებს და უკან იწევს). არჩილ!..
(აჩქარებით შემოდის სარდიონი).
**სარდიონ.** (კარებიდანვე ფიცხლად). ეგ ყოვლად შეუძლებელია, ქ. თამარ!.. უარს ვერ იტყვით!..
**არჩილ.** (მხიარულად). რის უარს?
**სარდიონ.** ცოცხალ სურათებში მონაწილეობაზე!..
**თამარ.** (აწურული დგას; გადაჭრით). არ შემიძლიან!
**არჩილ.** ტყუილად გითქვამს უარი, თამრიკო!..
**სარდიონ.** თუ ღმერთი გწამს, არჩილ, დაგვეხმარე!..
**არჩილ.** დიდი სიამოვნებით!.. ერთი პირობით-კი... (თამარს განზე გაიყვანს და ჩუმად). მიიღე მონაწილეობა, იმ პირობით-კი, რომ მკერდზე ხალი არ გამოგიჩნდეს!.. ხე-ხე... (ხმა მაღლა). აი ეხლავ მოვიტან იმ სურათს... (გადის მეორე ოთახში).
**სარდიონ.** (მიუახლოვდება თამარს და ჩუმად). ნუ იტყვი უარს, თამრიკო!..
**თამარ.** (გააწყვეტინებს). სსს!.. ვერა ხედავთ, არჩილი არეულია!..
**სარდიონ.** არეული?!..
**თამარ.** მგონი რაღაცა ეჭვი გაუჩნდა!..
**სარდიონ.** ნუ გეშინიან... სიმშვიდეს ნუ დაჰკარგავ...
**თამარ.** სსს!.. მოდის...
**სარდიონ.** (ხმა მაღლა). არა, ქ. თამარ, ეგ შეუძლებელია!.. (შემოდის არჩილ; „ვეფხის ტყაოსანი“ უჭირავს).
**არჩილ.** აი, თამრიკო, ის სურათიც... მართალია ცოტა „მსუბუქად“ აცვია, ვიქტორის თქმისა არ იყოს, მაგრამ არა უშავს-რა... მხოლოდ ჩვენი პირობა არ დაგავიწყდეს!..
**სარდიონ.** გადაწყვეტილია!..
**თამარ.** არ ვიღებ მონაწილეობას!..
**სარდიონ.** (ყურებში თითებს იცობს). ა-ჰა-ჰა-ჰა!.. არ მესმის, არ მესმის!..
**თამარ.** არ შემიძლიან!..
**არჩილ.** ხუმრობს, ხუმრობს!.. ხა-ხა...
**სარდიონ.** გმადლობ, არჩილ!.. ნახვამდის... (მიდის).
**თამარ.** ტყუილი იმედი გაქვთ...
**სარდიონ.** (კარებიდან). არ მესმის!.. (გარბის).
**თამარ.** სცდებით!..
**არჩილ.** ხუმრობს, ხუმრობს!.. ხა-ხა-ხა... მიიღე, თამრიკო, მონაწილეობა... მხოლოდ პირობა... ხე-ხე... (მიდის თავის ოთახისკენ). არ დაგავიწყდეს... ხალი, ხალი არ გამოგიჩნდეს... ხე-ხე... (გადის. თამარ გაშტერებული სდგას).

ფ ა რ დ ა.

---

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა   მ ე ს ა მ ე

სასეირნო ბაღი ზღვის პირას. სიღრმეში მოსჩანს როტონდა—კლუბის საზაფხულო შენობა; გაჩაღებულია—საცეკვაო საღამოა. მთელი მესამე მოქმედების განმავლობაში მოისმის სხვადასხვა საცეკვაო ხმები. სცენა ბაღის მიყრუებული ადგილია და ნაკლებად გაჩაღებული. აქვე სდგას რამდენიმე მაგიდა და სკამები. დროგამოშვებით მოცეკვავენი სეირნობით გაივლიან სცენაზე.

ფარდა რომ აიხდება, სცენა ცარიელია. ცოტა ხანს შემდეგ ცეკვა-ხტუნაობით შემორბიან ვიქტორ და ლიზა. დაღლილები სხდებიან.

**ვიქტორ.** შეუპოვარი ადამიანი ყველაფერში შეუპოვარია!.. თქვენისთანა დაუღალავი მოცეკვავე ჩემს დღეში არ მინახავს!..
**ლიზა.** (მარაოს გადასცემს და ჰქანებით). გამინიავეთ!..
**ვიქტორ.** (ძალზე უნიავებს). აბა, ზენა-ქარო!..
**ლიზა.** ნება, ნება,—სურდოს შემყრით!..
**ვიქტორ.** მე სურდო არა მჭირს და არც... ხე-ხე...
**ლიზა.** რა—„არც“?!..
**ვიქტორ.** ვისაც სურდო სჭირს და ჰსურს სხვას გადასცეს—აკოცებს!.. ხე-ხე...
**ლიზა.** (ჯამოსტაცებს მარაოს და ხელში ჩაარტყამს). ცუღლუტო!.. ცეკვის გარდა კიდევ რაში ვარ შეუპოვარი?..
**ვიქტორ.** ყველაფერში!..
**ლიზა.** მაგალითად?..
**ვიქტორ.** სიყვარულში!.. ხე-ხე...
**ლიზა.** საკვირველია!... თქვენ საიდან იცით?!..
**ვიქტორ.** ხე-ხე... საკმარისია მაგ თვალებში ჩამოიხედოს კაცმა... ხე-ხე...



ალბანეთის აჯანყების გამო.
ისსა ბოლეტინაცი ალბანელთა ცნობილი ბელადი.

**ლიზა.** (ისევ მარჯოს ჩაარტყავს). ნუ სთამაშობ!.. (ადგება. მაგიდაზე უჩვენებს). ვინ ქეიფობს აქ?

**ვიქტორ.** ქავთარაძე, უზადრულიძე და კიდევ ერთი აფიცერი.

**ლიზა.** ა-ა!.. სანდრო კიდეც იმიტომ უხირდება ყველას!..

**ვიქტორ.** საძაგელი ხასიათი აქვს, როცა ნასვამია!..

**ლიზა.** კი არა მოახდინოს-რა!..

(შემოდის სანდრო; ნასვამია, ქუდი კეფაზე ადევს).

**ვიქტორ.** აი ისიც!..

**სანდრო.** ა-ა!.. თქვენ აქა ხართ?!.. (ბძანებით). ვიქტორ, ქალები გეძახიან—მარ-რ-რშ!..

**ვიქტორ.** მივდივარ, მივდივარ!.. (გარბის).

**ლიზა.** რა არის, სანდრო, მოსვენებას არავის აძლევ!..

**სანდრო.** შენ არხეინად იყავ, ჩემო კოკობო!.. (მოსახვევნად მიიწევს).

**ლიზა.** რას შვრები... დაგვინახავენ!..

**სანდრო.** მე მსურს!..

**ლიზა.** მერე, მერე, სანდრო!..

**სანდრო.** მე ეხლა მსურს!..

**ლიზა.** მერე, შენი ჭირიმე, სანდრო!..

**სანდრო.** როდისლა მერე!.. როცა შენი ბენტერა თავს წამოგადგება!..

**ლიზა.** ფიქრი ნუ გაქვს—თავს დავახწევ...

**სანდრო.** არ დაახწევ და, ხომ იცი, მე იმასაც არ მოვერიდები!..

**ლიზა.** კარგი, ნუ სჭირვეულობ!.. მართლა, ორდელის ცოლი ხომ არ იქნება დღეს აქ?

**სანდრო.** მე რა ვიცი!.. შენ რა გაწუხებს?!..

**ლიზა.** (ტუჩ-აწევით). მიკვირს, რომ ყველას უშვებენ კლუბში!..

**სანდრო.** უმანკოებავ, გეშინიან იმის უწმინდურობისა?!.. ხომ ვიცი, რაზედაც გიკვდებათ ყველას გული!..

**ლიზა.** რაზე?

**სანდრო.** სილამაზით და სიკეკლუცით რომ ყველასა გჯობთ!..

**ლიზა.** (ტუჩ-აწევით). უხ!...

**სანდრო.** დიახ!.. რაც გინდ გაიჭიმოთ, მაინც შორს!..

**ლიზა.** მაშ, იმას მოუალერსეთ!..

**სანდრო.** აკი ვცადე!..

**ლიზა.** პარასკევი დღე გამოდგა?!..

**სანდრო.** დიახ!.. ყველას არ ეკიდება კისერზე...

(შემოდის ექვთიმე).

**ექვთიმე.** მე იქ დაგეძებ და შენ-კი...

**ლიზა.** (ჯავრობით). რას დამეძებ?!.. ბავშვი ხომ არა ვარ!..

**ექვთიმე.** ნეტავ ბავშვი იყო!.. იქ გელიან... წავიდეთ...

(ლიზა ირონიით თავს დაუკრავს სანდროს, ქმარს ხელს გაუყრის და მისდევს).

**სანდრო.** (დოინჯ-შემოყრილი და გაღაჯული უყურებს მიმავალთ). რა სურათია!.. (დაჯდება მაგიდასთან, დალევს ერთ ჭიქა ღვინოს, მერე თავს ხელებზე დაიდებს, თითქოს, ჩაეძინაო. შემოდიან სარდიონ და აფიცერი; ესენიც კარგა ნასვამები არიან).

**სარდიონ.** ხა-ხა-ხა!.. ექვთიმეს კიდეც ამისთვის გამოუგლეჯია თავისი ცოლი ხელიდან!.. ხა-ხა...

**აფიცერი.** ხა-ხა-ხა!.. კიდეც მძინარესთვის მოუპარავს ექვთიმეს საკუთარი ცოლი!.. ხა-ხა... (ორთავენი ხარხარებენ).

**სარდიონ.** რა დროს ძილია!.. აბა ერთი კარგი სადღეგრძელო!..

**სანდრო.** (თავს აიწევს). ვიქტორი სადღაა?..

**სარდიონ.** არ იცი, სადაც იქნება,—დაქირავებული ცხენივით მუშაობს!..

**აფიცერი.** ხუმრობა გაშვებით და ამბობენ, კლუბი ჯამაგირს აძლევ' ვიქტორს, როგორც მოცეკვავესაო!... ხა-ხა...

(შემოდის ვიქტორ).

**ვიქტორ.** (დაღლილი ოფლს იწმენდს). სიკა გამაცალეს!..

**სანდრო.** (ღვინოს დაასხამს). ვიქტორ, გაცოცხლოს!.. შენი ფეხების ნუგეში ნუ მოაკლოს ჩვენ ქალებს!..

**სარდიონ.** (<br>**აფიცერი.** ( ამინ!..

**ვიქტორ.** (ჭიქას აიღებს). არა, ჩემო ძმაო!.. ქალების ნუგეშს ფეხებიდან ნუ დაიწყებ!.. ღმერთმა აცოცხლოს სანდრო, ჩვენი ქალების გულის მალამო, მათი მუსრის მდენელი და ქმრების ძილის დამთხობელი!..

**სარდიონ.** ესეც შენი ვიქტორი!.. როგორი იყო?!..

**აფიცერი.** ყოჩაღ, ვიქტორ!.. გაუმარჯოს სანდროს!.. (ყველანი ჭიქებით მიდიან სანდროსთან).

**სანდრო.** (ჭიქას დასდგამს). მე მაგ სადღეგრძელოს არ მივიღებ!..

**ვიქტორ.** (სუსტდურად წაქეზებული). მე როგორც...

**სანდრო.** ახლა საქმეს ნუ გააჭირებ!.. განა ერთხელ რომ ტერტერასავით მოგივიდა, კიდევ კარგ რასმეს იტყვი!..

**ვიქტორ.** კარგი!.. ვნახოთ, შენ რაღას იტყვი...

**სანდრო.** მე იმას ვიტყვი, რომ ეგ სადღეგრძელო ეკუთვნის სარდიონს!.. ნახევარ საათის შემდეგ ჩვენ აქედან წავალთ „სალხინოში"... ვახშამი მაქვს შეკვეთილი...

**ყველანი.** ვახშამი?!..

**სანდრო.** ჰო, ვახშამი, სანაძლეოში წაგებული ვახშამი... დაგავიწყდათ?!..

**ვიქტორ.** გვახსოვს და მოუთმენლადაც ველით!..

**სანდრო.** როგორც დღევანდელი ვახშამი, ეს სადღეგძელოც სარდიონს ეკუთვნის. საარშიყო საქმეში პირველადა ვარ დამარცხებული და დასჯილი!.. ამ კარგა ხნის წინედ ორდელის ცოლს თავი გადავაკალ, მაგრამ ვერაფერს გავხდი!.. ერთი ქეიფის დროს სარდიონი დამნაძლევდა იმ მიუდგომელი ციხის აღებაზე და, როგორც შეიტყობდით, გაიმარჯვა კიდეც!..

**ვიქტორ.** მაგ გამარჯვებაზე ჩვენ კამპანიას ჯერ აფიციალურად არ მოჰხსენებია და ამისათვის, თუმცა ყველამ ვიცოდით, მაგრამ საჯაროდ ლაპარაკს ვერიდებოდით!..

**სანდრო.** ჰო და, ბატონო მდივანო, შეიტანეთ ჩვენი კამპანიის ისტორიაში და ოქროს ასოებით დაბეჭდეთ!..

**ვიქტორ.** მესმის, ბატონო თავმჯდომარევ!..

**სანდრო.** ბევრ ქალებზე გამარჯვება არც—თუ ისეთი სასახელო საქმეა: ალიტინებული ქალი დიდ არჩევანში არ შევა!.. ამისათვის ჩემს მრავალ წვრილმან გამარჯვების ბაირაღს ვუხრი სარდიონის ერთ გამარჯვებას!

**აფიცერი.** ( გაუმარჯოს სარდიონს, გაუმარჯოს!.. (ყველანი<br>**ვიქტორ.** ( ჭიქებს მიაჯახუნებენ და სვამენ).

**სარდიონ.** თქვენს მოლოცვას, ბატონებო, სიამაყით ვიღებ!.. ეს იმისთანა უბრალო საქმე არ არის, რომელიც ქებისგან წითლდება!.. (სვამს).

**აფიცერი.** ჩვენ, როგორც ერთი წყობის ხალხი, მოვითხოვთ ამ საგანგებო გამარჯვების ისტორიას!.. ან რად დაემართა ასეთი მარცხი სანდროს... სამემრისოდ გამოგვადგება...

**ვიქტორ.** ვითხოვთ, ვითხოვთ!..

**სარდიონ.** (კიდევ დალევს). ბატონი ხართ!..

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.

მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი"